

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
ფთიზიატრიის დეპარტამენტი



პროფესორი კახა ვაჭარაძე, ფთიზიატრიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი მარინა ნონიკაშვილი



მოწვეული პედაგოგი ნელი სოლომონია

დეპარტამენტის ერთიანი სურათი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის (თსსუ) ფთიზიატრიის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტთა დიპლომამდელ და რეზიდენტთა დიპლომისშემდგომ პროფესიულ განვითარებას.

დიპლომამდელი სწავლება მიმდინარეობს თსსუ მედიცინის, სტომატოლოგიის და ჯანდაცვის ქართულ- და უცხოენოვან ფაკულტეტებზე. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტები აღჭურვოს ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით. აღნიშნული როგორც ზოგადი პროფილის, ისე სხვადასხვა ვიწრო სპეციალობის მომავალი ექიმების ტუბერკულოზის კონტროლის

პროგრამაში ინტეგრირებას უზრუნველყოფს და ქვეყნის მასშტაბით ფილტვის და ფილტვგარეშე ტუბერკულოზის შემთხვევის სწორ მართვას განაპირობებს.

დიპლომისშემდგომი სწავლება მიმდინარეობს სარეზიდენტო პროგრამებით „ფთიზიატრია-პულმონოლოგიასა“ და „ბავშვთა ფთიზიატრია-პულმონოლოგიაში“. 3 წლიანი სარეზიდენტო პროგრამების გავლის შემდეგ რეზიდენტებს აქვთ სრულყოფილი თეორიული ცოდნა და საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევა, რათა ხარისხიანად უზრუნველყონ ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმის და რესპირატორული დაავადებების მქონე პაციენტების ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა.

თსსუ ფთიზიატრიის დეპარტამენტის ბაზაზე ამჟამად კვლევა მიმდინარეობს შემდეგი 3 სადოქტორო პროგრამით:

- “ფილტვის ტუბერკულოზთან ასოცირებული და იზოლირებული გენიტალური ტუბერკულოზის (GTB-ის) თავისებურებები საქართველოში“
- „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებების, მათი გართულებების და დიდი მოცულობის ნარჩენი ცვლილებების მკურნალობა ახალი ბრონქოსკოპიული მეთოდებით“
- „ტუბსაწინააღმდეგო სამკურნალო რეჟიმის ადექვატურობის გავლენა მკურნალობის მიმდინარეობასა და გამოსავალზე“.

თსსუ ფთიზიატრიის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ გამოცემულია შემდეგი სახელმძღვანელოები:

- “ტუბერკულოზი სახელმძღვანელო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისათვის”; ნადია ეით-ქეილი, დონალდ.ა.ინარსონი, ჯანმო, 2003; ქართული;
- ტომანის ტუბერკულოზი - შემთხვევათა გამოვლენა, მკურნალობა, მონიტორინგი; ჯანმო, 2004; ქართული;
- “ტუბერკულოზის მართვის საერთაშორისო სტანდარტები” 2006; ქართული;
- „ტუბერკულოზი - დიპლომისშემდგომი პროფესიული განვითარების კურსი ექიმებისათვის, 2008; ქართული.

თსსუ ფთიზიატრიის დეპარტამენტის პედაგოგიური პერსონალი:

ფთიზიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი კახა ვაჭარაძე;
ასოცირებული პროფესორი მარინა ნონიკაშვილი;
მოწვეული პედაგოგი ნელი სოლომონია.